საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო



# კორუფციის რისკები აბასთუმანში

# სარჩევი


| | |
|---|---|
| შესავალი | 3 |
| ძირითადი მიგნებები | 5 |
| პრივატიზებული სახელმწიფო ქონება აბასთუმანში | 5 |
| საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვები აბასთუმანში | 14 |
| მუნიციპალური განვითარების ფონდის ტენდერები აბასთუმანში | 16 |
| საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის შესყიდვები აბასთუმანში | 18 |
| ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვები აბასთუმანში | 20 |
| დაცული ტერიტორიების სააგენტოს შესყიდვები აბასთუმანში | 24 |
| საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ტენდერები აბასთუმანში | 26 |

# შესავალი

ბიძინა ივანიშვილი ოჯახთან ერთად აბასთუმანში დასასვენებლად 2018 წლის აგვისტოს დასაწყისში ჩავიდა და მალევე, კურორტზე, სანატორიუმ „მესხეთის“ მიმდებარედ, ადგილობრივი ბიზნესმენისგან, სამშენებლო კომპანია შპს „არალის“ მაშინდელი მესაკუთრისგან, ოთარ თათეშვილისგან სახლის ასაშენებლად 450 კვ.მ. ფართობი იყიდა.

პირველი, რაც ივანიშვილმა გადაწყვიტა, აბასთუმანში მდებარე ტუბსაავადმყოფოს, იგივე სანატორიუმ „ზეკარის“, კურორტიდან გატანა იყო. მისმა ფონდმა „ქართუმ“ აბასთუმნიდან 3 კმ-ს მოშორებით ფილტვის ცენტრი ააშენა, რისთვისაც 5 მლნ ლარზე მეტი გადაიხადა. ეს ტერიტორია კი ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულმა კომპანიამ, შპს „სანაპიროს ხედმა“ იყიდა და აქ რეზიდენციის მშენებლობა დაიწყო. მან სანატორიუმ „ზეკარის“ მიმდებარედ მცხოვრები 12 ოჯახისთვის ფონდ „ქართუს“ ხუთსართულიანი კორპუსი ააშენებინა და იქ გაასახლა.

ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულმა  კომპანიამ, შპს „ცისარტყელამ“ იყიდა აბასთუმანში მდებარე კიდევ ერთი სანატორიუმის, „ცისარტყელას“ მიმდებარე ტერიტორია. აქ იგი, 69 მლნ-იანი დოლარის ინვესტიციით,  Autograph Collection-ის ბრენდის სასტუმროს „პარაგრაფ აბასთუმანს“ აშენებს.

ფონდმა  “ქართუმ”, ივანიშვილის სახლებისა და სასტუმროს მშენებლობის პარალელურად, აბასთუმანში დედათა და მამათა მონასტრებს, ასევე, ამბულატორიას რეაბილიტაცია ჩაუტარა. ცნობილია  მხოლოდ ის, რომ ამბულატორიის რეაბილიტაციისთვის ფონდმა 655 000 ლარი გადაიხადა. კიდევ რა პროექტები განახორციელა ფონდმა  „ქართუმ“ აბასთუმანში და ჯამში რა თანხა დახარჯა, ამის შესახებ ინფორმაცია როგორც ფონდ „ქართუდან“, ასევე, შემოსავლების სამსახურიდან გამოვითხოვეთ, თუმცა მათ პასუხები არ მოგვაწოდეს.

სახელმწიფო უწყებები ბიძინა ივანიშვილის დაინტერესებას აბასთუმნით მალევე გამოეხმაურნენ. მან  თავისი ინტერესი 2018 წლის აგვისტოს დასაწყისში გამოთქვა, მასშტაბური პროექტების განხორციელება კი ორ კვირაში დაიწყო. მაგალითად, მუნიციპალური განვითარების ფონდმა ტენდერი აბასთუმნის განაშენიანების გენგეგმის შესადგენად 2018 წლის 15 აგვისტოსვე გამოაცხადა და ხელშეკრულება 280,840 ლარზე გააფორმა.

ორი თვის შემდეგ ივანიშვილმა განაცხადა, რომ კურორტზე მხოლოდ ელექტრომობილებს უნდა ევლო და ყველა ადგილობრივისთვის ელექტრომობილს თვითონ იყიდდა. მუნიციპალური განვითარების ფონდმა კურორტის შესასვლელთან, სოფელ აბასთუმანში, სადგურისა და ღია ავტოსადგომის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების  მოსამზადებლად და მის მიხედვით სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად, დაახლოებით 9 მლნ ლარზე, ტენდერი ორჯერ გამოაცხადა. ერთი ტენდერი უარყოფითი შედეგით დასრულდა ,  მეორეზე ხელშეკრულება შეწყდა, თუმცა მანამდე კომპანიისთვის ავანსად ჰქონდათ გადახდილი 2 მლნ ლარი.  მოგვიანებით, მხოლოდ საპროექტო სამუშაოებისთვის ხელშეკრულება  339,999 ლარზე გაფორმდა.

ეს ფაქტი კარგად აჩვენებს, რომ სახელმწიფო კი არ აწესებს კურორტის განვითარების გეგმას, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ინვესტორი, არამედ თავად  ინვესტორი (ამ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილი) კარნახობს სახელმწიფოს იდეას, რომლის განსახორციელებლადაც  საჯარო ფინანსები იხარჯება. ეს რომ ცალკე აღებული ფაქტი არ არის და  ტენდენციას წარმოადგენს, სხვა შემთხვევებიც ადასტურებს.

მაგალითად, ივანიშვილის გადაწყვეტილების გამო, რომ კურორტზე მანქანებს აღარ უნდა ევლოთ, შეწყდა აბასთუმანი-ბაღდათის 60 კმ-იანი გზის მშენებლობა. ამ შემთხვევაში, მანქანებს აბასთუმანში გავლა მოუწევდათ, რაც აბასთუმნის ჰაერს დააბინძურებდა. მშენებლობამ აბასთუმნის შემოვლით, საირმისკენ გადაინაცვლა. რისთვისაც საგზაო დეპარტამენტმა 4 ტენდერით, ჯამში, ხელშეკრულებები, 92,893,045 ლარზე გააფორმა. ახალი გზა დაცულ ტერიტორიაზე, „ზურმუხტის ქსელის“ უბანზე გაივლის  და 10-15 კმ-ზე ტყე და მცენარეული საფარი გაიკაფება. გარემოსდამცველების თქმით, საფრთხე შეექმნებათ კანონით დაცულ ცხოველებსაც. ამიტომ ამ გადაწყვეტილებას „მწვანე ალტერნატივა“ სასამართლოში ასაჩივრებს.

ივანიშვილის კურორტით დაინტერესებიდან სულ რაღაც ერთ თვეში, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ სისტემის რეაბილტიაციისთვის 4 მლნ-მდე ლარის შესყიდვები გააფორმა. ჩატარდა  წყლის ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევაც.

წელიწადნახევარში საფეხმავლო ბილიკების მოწყობა დაიწყო აბასთუმნის ტყეშიც. დაცული ტერიტორიების სააგენტომ  ამისთვის პირველ ეტაპზე 800,000 ლარზე მეტის ხელშეკრულებები გააფორმა.

დღის წესრიგში დადგა, აბასთუმნის ტყის სახანძრო უსაფრთხოების საკითხიც. მუნიციპალური განვითარების ფონდმა აბასთუმნის რეკრეაციული ტყე-პარკის სახანძრო უსაფრთხოების მოწყობისთვის ტენდერი 15,000,000 ლარზე გამოაცხადა. ამ თანხით წყალსაცავს და მიმდებარე ინფრასტრუქტურას მოაწყობს.

კულტურული მეკვიდრეობის დაცვის სააგენტომ „გლაზენაპის“ კოშკს რეაბილიტაცია ჩაუტარა, აბასთუმანში მდებარე სამონასტრო კომპლექსის შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით კი მისი არქეოლოგიური კვლევა დაიწყო, რისთვისაც ჯამში ხელშეკრულებები 126,697 ლარზე გაფორმდა.

ამ აქტიურ მშენებლობებში აქტიურად ჩაერთვნენ „ქართული ოცნების“ შემომწირველებთან დაკავშირებული  კომპანიები. 15 კომპანიის  მიერ მიღებული თანხა ასე გადანაწილდა:

| **კომპანია** | **შესყიდვებით მიღებული თანხა** |
|---|---|
| შპს „ჯეუ გრუპი“ | 90,890,045 ლარი |
| შპს „არალი“ | 49, 602, 399 ლარი |
| შპს „New Road“ | 28,088,888 ლარი |
| შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“ | 22, 129,483 ლარი |
| შპს „ზიმო“ | 11,648,392 ლარი |
| ამხანაგობა „აბსოლუტ სერვისი და კომპანია ბლექ სი გრუპი“<br><br>(კომპანიის დირექტორის მამა და ძმაა შემწირველი) | 2,696, 969 ლარი |
| შპს „ლ. და კ.“ | 1,964,991 ლარი |
| შპს „ტრანსპროექტი“ | 1,975,000 ლარი |
| „საგზაო სამშენებლო სამმართველო N2“ | 116,599 ლარი |
| შპს „პროექტმშენკომპანი“ | 114, 991 ლარი |
| შპს „მსოფლიო ტექნიკა“ | 229,500 ლარი |
| შპს „ჯი-თი ჯგუფი“ | 104, 228 ლარი |
| ააიპ „სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ასოციაცია“ | 77,610  ლარი |
| შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ | 39,879 ლარი |

# ძირითადი მიგნებები

- 2012 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, აბასთუმანში სახელმწიფომ 67,790 კვ.მ. მიწა გაყიდა. ეს ფართობი ჯამში 26 სუბიექტმა შეიძინა 8,693,501 ლარად. გაყიდული ფართის **95,3%** - **64,649 კვ.მ**. ბოლო 4 წელიწადში 18 სუბიექტზე გასხვისდა. ჯამში, მათ **8,392,301 ლარი** გადაიხადეს.
- 18 სუბიექტიდან, რომლებმაც 2018 წლის აგვისტოდან შეიძინეს მიწა აბასთუმანში, 14 „ქართულ ოცნებასთან“ არის დაკავშირებული. მათ ჯამში 59,276 კვ.მ. ფართობი 7,490,400 ლარად იყიდეს[1]. აქედან, 9 სუბიექტი უშუალოდ ბიძინა ივანიშვილთან არის დაკავშირებული - მათ ჯამში, 52,443 კვ.მ. მიწა 6,417,200 ლარად შეიძინეს.
- 2012-2022 წლებში, 6-მა სახელმწიფო უწყებამ, აბასთუმანში, როგორც კურორტზე ასევე, სოფელში, ჯამში, 177 სახელმწიფო შესყიდვა გამოაცხადა და მათზე 267,490,306 ლარი დახარჯა. ამ თანხის 93.4% - **249,920,551 ლარი** 2018 წლის აგვისტოდან დღემდე დაიხარჯა, ანუ მას შემდეგ, რაც აბასთუმნით ბიძინა ივანიშვილი დაინტერესდა.
- 2018-2022 წლებში აბასთუმანში სახელმწიფო შესყიდვებით გახარჯული თანხის **83,1%** - **207,720,451 ლარი** „ქართული ოცნების“ შემომწირველებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა მიიღეს. მათ, სხვადასხვა დროს მმართველ პარტიას **1,276,000 ლარი** შეწირეს.
- 2018 წლის აგვისტოდან დღემდე აბასთუმანში განხორციელებული საჯარო შესყიდვებიდან **145,101,148 ლარი**, ანუ მთლიანად გახარჯული თანხის **58,1%** **“**ქართული ოცნების” შემომწირველებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა უკონკურენტოდ და სხვა პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის ხარჯზე მიიღეს.
- მმართველი პარტიის შემომწირველებთან დაკავშირებული კომპანიებიდან აბასთუმნის ტენდერებში ყველაზე მეტი თანხა *შპს „არალმა“* და *შპს „ჯეუ გრუპმა“* მიიღეს, ჯამში - **140,492,444 ლარი**.
- 2018-2022 წლებში, ყველაზე მეტი თანხა - 150,968,119 ლარი, 16 შესყიდვით საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გამოყო. ყველაზე ნაკლები კი - 126,697 ლარი 2 შესყიდვით - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ.
- ყველა უწყებამ, გარდა ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიისა, ბოლო ოთხწელიწადნახევარში იმაზე მეტი დახარჯა, ვიდრე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან პირველ 6 წელიწადში.
- 2012 წლიდან 2018 წლის აგვისტომდე 5 სახელმწიფო უწყებას სულ 110 სახელმწიფო შესყიდვით 17,569,755 ლარი ჰქონდა დახარჯული. აქედან, 15 სახელმწიფო შესყიდვის 7,302,165 ლარის ჯამური ღირებულების კონტრაქტები „ქართული ოცნების“ შემწირველებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა მიიღეს. მათ მმართველ პარტიას, სხვადასხვა დროს ჯამში 220 000 ლარი შეწირეს.

# პრივატიზებული სახელმწიფო ქონება აბასთუმანში

**აბასთუმნით ივანიშვილის დაინტერესების შემდეგ, სახელმწიფოს მიერ კურორტზე გაყიდული მიწების 91.7% „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებულმა პირებმა შეიძინეს.**

2012 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, სახელმწიფომ აბასთუმანში 67,790 კვ.მ. მიწა გაყიდა. ეს ფართობები 26-მა სუბიექტმა 8,693,501 ლარად შეიძინა. აქედან 64,649 კვ.მ. ფართობის მიწა, ანუ ბოლო 10 წლის განმავლობაში პრივატიზებული მიწის 95,3% სახელმწიფომ 2018 წლის აგვისტოს შემდეგ გაყიდა. მაშინ ბიძინა ივანიშვილმა პირველად გამოხატა დაინტერესება ამ კურორტით და სახლის ასაშენებლად აქ მიწაც იყიდა.

1 პირდაპირი პრივატიზების წესით გაცემული 6 კვ.მ. ფართობის ღირებულება უცნობია, ინფორმაცია არ მოგვაწოდეს.

2018 წლის აგვისტოდან დღემდე აბასთუმანში სულ 64,649 კვ.მ. ფართობი გაიყიდა, ჯამში 8,392,301 ლარად. ეს ბოლო 10 წლის განმავლობაში აბასთუმანში პრივატიზებული მიწის 95,3%-ია. ამ ფართობიდან 35,627 კვ.მ.ფართობი (55.1%) 3,356,501 ლარად უკონკურენტოდ და პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისდა.

მიწა სახლის ასაშენებლად ბიძინა ივანიშვილს ადგილობრივმა ბიზნესმენმა, სამშენებლო კომპანია შპს „არალის“ მაშინდელმა მესაკუთრემ, ოთარ თათეშვილმა მიჰყიდა. დღეს ამ კომპანიას მისი ოჯახი ფლობს. დირექტორი და 25% წილის მესაკუთრე, ოთარ თათეშვილის ერთ-ერთი შვილი დემეტრე თათეშვილია. სწორედ ამ გარიგებიდან ათ დღეში, 2018 წლის 29 აგვისტოს დემეტრე თათეშვილმა ელექტრონულ აუქციონზე ორი ნაკვეთი შეიძინა. მან აბასთუმანში, ფალიაშვილის ქუჩა N18-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2,000 კვ.მ. მიწა 222,000 ლარად და 1,883 კვ.მ. 210,000 ლარად, უკონკურენტოდ იყიდა. თუმცა, 2020 წლის აგვისტოში, თათეშვილმა ორივე მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს უკან დაუბრუნა. სანაცვლოდ, ქონების ურთიერთგადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე, მიიღო 4,660 კვ.მ. მიწა, რომელიც ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს ესაზღვრება და ბიძინა ივანიშვილის მშენებარე სასტუმრო „პარაგრაფ აბასთუმანთან“ ახლოს მდებარეობს.

2018 წლის აგვისტოდან 2022 წლამდე აბასთუმანში ფართობები 18 სუბიექტმა შეიძინა. მათგან 14 „ქართულ ოცნებასთან“ არის დაკავშირებული და მათ სულ 59,276 კვ.მ. **(**2018 წლიდან გაყიდული მიწის 91,7%**)** ფართობი 7,490,400 ლარად იყიდეს[2]. აქედან, უშუალოდ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული 9 სუბიექტია და მათ ჯამში, 52,443 კვ.მ. მიწა 6,417,200 ლარად შეიძინეს.

**შპს „ემერალდმა“** 2018 წლის 10 სექტემბერს, აბასთუმანში, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები - 1983 კვ.მ. 161,000 ლარად და 1,145 კვ.მ. 96,000 ლარად უკონკურენტოდ იყიდა. კომპანია ბიძინა ივანიშვილთანაა დაკავშირებული, რადგან მისი 100% წილი სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფს“ ეკუთვნის.

**სს „GAVELTON INVESTMENTS LIMITED**“-მა, 2018 წლის 2 ოქტომბერს, უკონკურენტოდ, 373,000 ლარად, აბასთუმანში, ფალიაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული 4,613 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შეიძინა. ასევე, 2020 წლის 10 ოქტომბერს, 8,000 ლარად, აბასთუმანში, ფალიაშვილის ქუჩის მიმდებარედ 40 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიც იყიდა. აღნიშნული კომპანია, ბელიზშია რეგისტრირებული და მისი საბოლოო ბენეფიციარები უცნობია. თუმცა, სავარაუდოდ, შესაძლოა, ეს კომპანიაც ბიძინა ივანიშვილთან იყოს დაკავშირებული, რადგან ამ მიწის ნაკვეთის გარშემო არსებული ნაკვეთები, სწორედ მისმა კომპანიებმა შეიძინეს.

**შპს „ცისარტყელამ“,** 2018 წლის 18 დეკემბერს, აბასთუმანში, 557,000 ლარად, 5,539 კვ.მ. 2019 წლის 21 ივნისს კი 220,500 ლარად, ასევე, აბასთუმანში, ასათიანის ქუჩაზე 2,183 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები უკონკურენტოდ იყიდა. გარდა ამისა, შპს „ცისარტყელამ“, 2020 წლის 2 ივნისს, 43,000 ლარად, აბასთუმანში 114 კვ.მ. არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიც შეიძინა. კომპანიის 51% წილის მფლობელი შპს „საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდია“. ეს შპს კი ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულ, ოფშორში რეგისტრირებულ სს „FRANKSTON INTERNATIONAL “-ს ეკუთვნის.

**“ასოციაცია ატუმ“**, 2019 წლის 3 იანვარს, 6,800 ლარად, სოფელ აბასთუმანში 116 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შეიძინა. აღნიშნული კომპანია პირდაპირაა დაკავშირებული ბიძინა ივანიშვილთან.

**შპს „სანაპიროს ხედმა“,** 2019 წლის 15 თებერვალს, 3,540,000 ლარად, აბასთუმანში, ფალიაშვილის ქუჩა N40-ში მდებარე 16,004 კვ.მ. 2,974 კვ.მ. და 4,607 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები იყიდა მათზე განთავსებული ნაგებობებითა და ასევე, ნანგრევი შენობებით. ამავე წლის, 13 სექტემბერს, უკონკურენტოდ, 72,000 ლარად, კვლავ აბასთუმანში, ფალიაშვილის ქუჩა N49-ის მიმდებარედ არსებული 1,751 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიც შეიძინა. ამ შპს-ს მესაკუთრე, ასევე, ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული და ოფშორში რეგისტრირებული „ლაიმსთოუნ ფაინანს ინთერნეიშენელია“.

---

2 პირდაპირი პრივატიზების წესით გაცემული 6 კვ.მ. ფართობის ღირებულება უცნობია, ინფორმაცია არ მოგვაწოდეს.

სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“, 2020 წლის 19 თებერვალს, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან 6 კვ.მ ფართობი პირდაპირი პრივატიზების ფორმით მიიღო. ექვს თვეში, გაცვლის ხელშეკრულებით, ეს ფართობი ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულმა სს „GAVELTON INVESTMENTS LIMITED“-მა გაიფორმა. ორ კვირაში კი ეს ფართობი ასევე, შპს „სანაპიროს ხედმა“ იყიდა.

**შპს „აბასთუმანი 2019**“-მა, 2019 წლის 15 აგვისტოს, აბასთუმანში, ფალიაშვილის ქუჩაზე 71,000 ლარად 582 კვ.მ, 2020 წლის 2 სექტემბერს 114,000 ლარად 759 კვ.მ, 2020 წლის 19 ნოემბერს, 26,500 ლარად 105 კვ.მ და 59 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები უკონკურენტოდ იყიდა. შპს „აბასთუმანი 2019“ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულ, ოფშორში რეგისტრირებულ „ლაიმსთოუნ ფაინანს ინთერნეიშენელს“ ეკუთვნის.

**შპს „ოცხე 2020“-მა,** 2020 წლის აგვისტო-ნოემბერში, უკონკურენტოდ მოიგო პრივატიზაციის სამი ელექტრონული აუქციონი, 64,000 ლარად, 13,000 ლარად და 51,000 ლარად, ჯამში 832 კვ.მ ფართობი, აბასთუმანში. კომპანია 2020 წლის 30 ივნისს დარეგისტრირდა, პირველი მოგებული აუქციონის გამოცხადებამდე (2020 წლის 7 აგვისტო) დაახლოებით, ერთი თვით ადრე. კომპანიის დირექტორმა და 100% წილის მფლობელმა, ზურაბ კიკნაძემ „ქართულ ოცნებას“ 2020 წლის 20 მარტს, 25 ათასი ლარი შეწირა. ზურაბ კიკნაძე ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული შპს „ზიმოს“ დირექტორი და 20% წილის მფლობელია.

***აბასთუმანში პრივატიზებული სახელმწიფო ქონება 2018 წლის აგვისტოდან 2021 წლის ჩათვლით***

| N | თარიღი | შემსყიდველი | ადგილი, ფართობი | საკადასტრო კოდი | ფასი (ლარში) |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | 2018 წლის 29 აგვისტო<br><br>(უკონკურენტოდ) | დემეტრე თათეშვილი<br>**შემწირველი.**<br><br>თათეშვილებმა **ივანიშვილს აბასთუმანში** სახლის ასაშენებლად **მიწა მიჰყიდეს** | ფალიაშვილის N18-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო<br><br>**3883** კვ.მ | 61.11.21.714;<br><br>61.11.21.715; | **432,000** |
| 2. | 2018 წლის 10 სექტემბერი<br><br>(უკონკურენტოდ) | შპს „ემერალდი“ (405287862)<br><br>**ივანიშვილთან დაკავშირებული** | ფალიაშვილზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო<br><br>**3128** კვ.მ. | 61.11.21.728;<br><br>61.11.21.683; | **257,000** |
| 3. | 2018 წლის 2 ოქტომბერი<br><br>(უკონკურენტოდ) | სს „GAVELTON INVESTMENTS LIMITED“<br><br>(110990)<br><br>სავარაუდოდ, **ივანიშვილთან დაკავშირებული** | ფალიაშვილის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო<br><br>**4613** კვ.მ. | 61.11.21.728; | **373,000** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4 | 2018 წლის 18 დეკემბერი<br><br>(უკონკურენტოდ) | შპს „ცისარტყელა“<br><br>(405289094 )<br><br>**ივანიშვილთან დაკავშირებული** | აბასთუმანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო<br><br>**5539** კვ.მ. | 61.11.21.775 | **557,000** |
| 5 | 2019 წლის 3 იანვარი | ააიპ „ასოციაცია ატუ“<br><br>(239402491)<br><br>**ივანიშვილთან დაკავშირებული** | სოფელი აბასთუმანი, არასასოფლო-სამეურნეო<br><br>**116** კვ.მ. | 61.23.21.322; | **6,800** |
| 6. | 2019 წლის 28 თებერვალი | ი/მ კობა მღებრიშვილი | ასათიანის N4-ის მიმდებარედ<br><br>**387** კვ.მ | 61.11.21.732; | **112,000** |
| 7 | 2019 წლის 15 თებერვალი | შპს „სანაპიროს ხედი“<br><br>(204559511)<br><br>**ივანიშვილთან დაკავშირებული** | ფალიაშვილის N40-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები მათზე განთავსებული ნაგებობებითა და ასევე, ნანგრევი შენობებით<br><br>**16004 კვ.მ.**<br>**2974 კვ.მ.**<br><br>**4607 კვ.მ.** | 61.11.21.016;<br>61.11.21.020;<br>61.11.21.756 | **3,540,000** |
| 8 | 2019 წლის 21 ივნისი<br><br>(უკონკურენტოდ) | შპს „ცისარტყელა“<br><br>(405289094 )<br><br>**ივანიშვილთან დაკავშირებული** | ასათიანის ქუჩაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობით<br><br>**2183** კვ.მ | 61.11.21.942; | **220,500** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 9. | 2019 წლის 15 აგვისტო<br><br>(უკონკურენტოდ) | შპს „აბასთუმანი 2019“<br><br>(405324803)<br><br>**ივანიშვილთან დაკავშირებული** | ფალიაშვილზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო<br><br>**582** კვ.მ | 61.11.21.956 | **71,000** |
| 10. | 2019 წლის 30 აგივსტო<br><br>(უკონკურენტოდ) | ი/მ თენგიზ აბულაძე<br><br>მისი ბიზნესპარტნიორები მსხვილი **შემწირველები** არიან. | აბასთუმანში არსებული არასასოფლო-სამეურნეო<br><br>**173** კვ.მ. | 61.11.21.954; | **21,500** |
| 11. | 2019 წლის 13 სექტემბერი<br><br>(უკონკურენტოდ) | შპს „სანაპიროს ხედი“<br><br>(204559511)<br><br>**ივანიშვილთან დაკავშირებული** | ფალიაშვილის N49-ის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო<br><br>**1751** კვ.მ. | 61.11.21.811; | **72,000** |
| 12. | 2019 წლის 8 ნოემბერი<br><br>(უკონკურენტოდ<br><br>**3482** კვ.მ და **500** კვ.მ. ) | შპს „თი ქეი ვენჩერსი“<br><br>(405333633)<br><br>**6 თვის დაფუძნებული** | ფალიაშვილის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთები ერთ-ერთზე არსებული N1 შენობა-ნაგებობა<br><br>**3482** კვ.მ.<br><br>**300** კვ.მ.<br><br>**500** კვ.მ. | 61.11.21.991;<br><br>61.11.21.990;<br><br>61.11.21.987; | **584,400** |
| 13. | 2019 წლის 8 ნოემბერი<br><br>(პირდაპირი პრივატიზაცია) | სს „ენერგო-პრო ჯორჯია“<br><br>(205169066) | აბასთუმანში მდებარე და, ასევე, ფალიაშვილის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები<br><br>**60** კვ.მ<br><br>**50** კვ.მ | 61.23.21.530;<br><br>61.11.21.920; | **1,501** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 14. | 2020 წლის 28 იანვარი<br><br>(უკონკურენტოდ) | ი/მ თენგიზ აბულაძე<br><br>მისი ბიზნესპარტნიორები მსხვილი **შემწირველები** არიან. | აბასთუმანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო<br><br>**290** კვ.მ. | 61.11.21.983; | **36,000** |
| 15. | 2020 წლის 10 თებერვალი | სს „GAVELTON INVESTMENTS LIMITED“<br><br>(110990)<br><br>სავარაუდოდ, **ივანიშვილთან დაკავშირებული** | ფალიაშვილის ქუჩის მიმდებარედ . არასასოფლო-სამეურნეო.<br><br>**40** კვ.მ. | 61.11.22.459; | **8,000** |
| 16 | 2020 წლის 19 თებერვალი<br><br>(პირდაპირი პრივატიზაცია) | სს „ენერგო-პრო ჯორჯია“<br><br>(205169066)<br><br>6 თვეში გაცვლის ხელშეკრულებით მესაკუთრეა **ივანიშვილთან დაკავშირებული**<br><br>სს „GAVELTON INVESTMENTS LIMITED“<br><br>(110990)<br><br>2 კვირაში ნასყიდობის ხელშეკრულებით ფართის მესაკუთრე ხდება **ივანიშვილთან დაკავშირებული**<br><br>შპს „სანაპიროს ხედი“<br><br>(204559511) | აბასთუმანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა<br><br>**6** კვ.მ. | 61.11.22.003 | **უცნობია** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17 | 2020 წლის 7 აპრილი<br><br>(უკონკურენტოდ) | შპს „მანაგა“ (402147994)<br><br>**შემწირველი,**<br><br>**6 თვის დაფუძნებული** | სოფელ აბასთუმანში არასასოფლო-სამეურნეო<br><br>**510 კვ.მ;**<br><br>**796 კვ.მ;**<br><br>**200 კვ.მ**<br><br>**1023 კვ.მ** | 61.12.22.501;<br>61.12.22.502;<br>61.12.22.503;<br>61.12.22.504; | **36,000** |
| 18. | 2020 წლის 2 ივნისი | შპს „ცისარტყელა“<br><br>(405289094 )<br><br>**ივანიშვილთან დაკავშირებული** | აბასთუმანში არასასოფლო-სამეურნეო<br><br>**114** კვ.მ. | 61.11.21.967; | **43,000** |
| 19. | 2020 წლის 21 აგვისტო<br><br>(უკონკურენტოდ) | შპს „ოცხე 2020“<br><br>(405394023)<br><br>**ერთი თვის დაფუძნებული**<br><br>**ივანიშვილთან დაკავშირებული** | ფალიაშვილის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების.<br><br>**420** კვ.მ. | 61.11.22.484 | **64,000** |
| 20 | 2020 წლის 31 აგვისტო<br><br>(უკონკურენტოდ) | შპს „ეიკონ დეველოპმენტი“<br><br>(224070975)<br><br>ახალციხის საკრებულოში **„ქართული ოცნების“ ყოფილი დეპუტატის ოჯახის კომპანია**<br><br>აღნიშნულმა შპს-მ ახალციხეში საცხოვრებელი კორპუსი **ქიბარ ხალვაშის** ინვესტიციით ააშენა | აბასთუმანში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების.<br><br>**101 კვ.მ**<br><br>**55 კვ.მ** | 61.11.23.107;<br>61.11.23.108; | **16,500** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21. | 2020 წლის 2 სექტემბერი | შპს „აბასთუმანი 2019“<br><br>(405324803)<br><br>**ივანიშვილთან დაკავშირებული** | ფალიაშვილის N24-ში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების<br><br>**759** კვ.მ | 61.11.22.478; | **114,000** |
| 22. | 2020 წლის 2 სექმტებერი<br><br>(უკონკურენტოდ) | შპს „ოცხე 2020“<br><br>(405394023)<br><br>**ერთი თვის დაფუძნებული**<br><br>**ივანიშვილთან დაკავშირებული** | ფალიაშვილის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების.<br><br>**81** კვ.მ. | 61.11.22.487; | **13,000** |
| 23. | 2020 წლის 19 ნოემბერი<br><br>(უკონკურენტოდ) | შპს „ოცხე 2020“<br><br>(405394023)<br><br>**ერთი თვის დაფუძნებული**<br><br>**ივანიშვილთან დაკავშირებული** | ფალიაშვილის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების.<br><br>**331** კვ.მ. | 61.11.22.474; | **51,000** |
| 24. | 2020 წლის 19 ნოემბერი<br><br>(უკონკურენტოდ) | შპს „აბასთუმანი 2019“<br><br>(405324803)<br><br>**ივანიშვილთან დაკავშირებული** | აბასთუმანში, ასევე, ფალიაშვილის მიმდებარედ არსებული<br><br>არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.<br><br>**105 კვ.მ**<br><br>**59 კვ.მ.** | 61.11.22.493;<br>61.11.21.971; | **26,500** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 25. | 2021 წლის 8 თებერვალი<br><br>(უკონკუნრეტოდ) | კარაპეტ კარაპეტიანი<br><br>4 თვეში მიწა ახალციხის საკრებულოში **„ქართული ოცნების“ დეპუტატს** ტიგრან მელქონიანს აჩუქა | ფალიაშვილის ქუჩაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების<br><br>**22** კვ.მ. | 61.11.21.996; | **3,200** |
| 26 | 2021 წლის 9 დეკემბერი | ზაურ ცხადაძე<br><br>**შემწირველი** | აბასთუმანში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების<br><br>**3417** კვ.მ. | 61.11.22.507 | **960,000** |
| 27 | 2021 წლის 15 მარტი | ლევან სალია | ფალიაშვილის N1-ის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები<br><br>**262** კვ.მ.<br><br>**332** კვ.მ. | 61.11.21.806;<br>61.11.23.110; | **204,000** |
| 28. | 2021 წლის 9 ივნისი<br><br>(პირდაპირი პრივატიზაცია) | მარინე კბილაშვილი<br><br>ადიგენის საკრებულოში **„ოცნების“ დეპუტატის დედა**<br><br>მარინე კბილაშვილის უფლებამონაცვლეა<br><br>შპს „ვილა აბასთუმანი“<br><br>(405480670)<br><br>**ივანიშვილთან დაკავშირებული** | რუსთაველზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების<br><br>**5684** კვ.მ | 61.11.21.957;<br>61.11.21.959; | **568,400** |

აბასთუმანში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამდე, 2012-2018 წლებში, სახელმწიფომ ელექტრონული აუქციონით მხოლოდ 3,141 კვ.მ. მიწა გაყიდა. 8 სუბიექტმა, ვინც ეს მიწა შეიძინა, ჯამში 301,200 ლარი გადაიხადა. აქედან 2,191 კვ.მ. (69.7%) უკონკურენტოდ 177,000 ლარად გაიყიდა. 8 სუბიექტიდან, მხოლოდ ერთმა, პაატა ფოცხვერაშვილმა შეწირა "ქართულ ოცნებას" 10 000 ლარი.

# საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვები აბასთუმანში

**საავტომობილო გზების დეპარატამენტმა, 2018 წლის აგვისტოდან დღემდე, 11 სატენდერო ხელშეკრულება, ჯამში, 150,940,119 ლარზე გააფორმა. აქედან, 135,229,927 ლარი (89.5%) „ქართული ოცნების" შემწირველებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა უკონკურენტოდ ან სხვა პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის ხარჯზე მიიღეს.**

2012-2022 წლებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, აბასთუმანში, 16 სახელმწიფო შესყიდვა გამოაცხადა და ხელშეკრულებები 158,563,984 ლარზე გააფორმა. (აქ არ შედის გზებისა და ხიდების მოვლა შენახვის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვები, რომლებიც ზონების მიხედვით ცხადდება).

16-დან 12 სახელმწიფო შესყიდვაზე ხელშეკრულებები, 2018 წლის აგვისტოს შემდეგ გაფორმდა. მისმა ჯამურმა ღირებულებამ 150,968,119 ლარი შეადგინა. აქედან მხოლოდ ერთი იყო გამარტივებული შესყიდვა. დანარჩენი 11 ტენდერის ღირებულებაა 150,940,119 ლარი. მათგან 10 ტენდერი "ქართული ოცნების" შემწირველებმა მოიგეს და, ჯამში მათ 145,268,915 ლარის ღირებულების (ტენდერებზე გახარჯული თანხის 96.2%) ხელშეკრულებები მიიღეს. მათ მმართველი პარტიის ანგარიშზე სხვადასხვა დროს, ჯამში, 400 000 ლარი შეიტანეს.

***საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვები აბასთუმანში 2018 წლის აგვისტოდან დღემდე***

| შესყიდვის თარიღი და ნომერი | შესყიდვის მიზანი | გამარჯვებული კომპანია | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 2018 წლის 5 ოქტომბერი<br>**NAT180015992** | აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისათვის საჭირო ალტერნატიული მიმართულებების ანალიზისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება | შპს „ტრანსპროექტი"<br>(204986195) | **1,975,000** |
| 2018 წლის 12 ოქტომბერი<br>**NAT180016380** | ბაღდათი - აბასთუმანის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია კმ75-კმ 81, ჩრდილო ოძრხეს ქვერაიონი | შპს „New Road"<br>(441993112) | **12,888,888** |
| 2019 წლის 14 მარტი<br>**NAT190005352** | ბაღდათი-აბასთუმნის მონაკვეთზე, კაკასხიდი-ზეკარის კმ10-კმ17 მონაკვეთის, (ზეკარის ხეობა აბასთუმნის მიმართლებით) სარეაბილიტაციო სამუშაოები | შპს „New Road"<br>(441993112) | **15,200,000** |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2019 წლის 23 მარტი **NAT190006203** | აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის კმ92+800 მონაკვეთზე, კურორტის ცენტრში, დაზიანებული ქვედა საყრდენი კედლის აღდგენის სამუშაოები | შპს „არალი“ (222725807) | **293,508** |
| 2019 წლის 14 ივნისი **NAT190011803** | ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის კმ 81 - კმ 87 მონაკვეთის, აბასთუმნის მიმართულებით, სარეკონსტრუქციო სამუშაოები | შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“ (217890584) | **13,982,486** |
| 2019 წლის 21 ივნისი **NAT190012336** | არაზინდოს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები | შპს „არალი“ (222725807) | **1,777,000** |
| 2020 წლის 11 მარტს **NAT200005831** | აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობა, ლოტი I | შპს „ჯეუ გრუპი“ ( 205251537) | **44,742,550** |
| 2020 წლის 13 მარტი **NAT200006004** | აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის კმ7+075 - კმ11+610 მონაკვეთის (ლოტი-II) და კმ11+610 - კმ15+944 მონაკვეთის (ლოტი-III) სამშენებლო სამუშაოები | შპს „ჯეუ გრუპი“ ( 205251537) | **46,147,495** |
| 2020 წლის 13 ოქტომბერი **CMR200125248** | აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოების პროექტისთვის დაკავებული ზურმუხტის საიტის შესაბამისი/ ადეკვატური საკომპენსაციო ტერიტორიის შერჩევა-შეფასების მომსახურება | ი.მ. ირაკლი კავილაძე (01008026457) | **28,000** |
| 2021 წლის 12 ოქტომბერი **NAT210019892** | ბაღდათი აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის კმ94-კმ102.2 მონაკვეთის (აბასთუმნის შემოსავლელი გზის მშენებარე კვანძიდან ბათუმი-ახალციხის გზამდე) სარეაბილიტაციო სამუშაოები | შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“ (217890584) | **8,146,997** |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2021 წლის 13 დეკემბერი<br><br>**NAT210024359** | ბაღდათი - აბასთუმანი - ბენარას საავტომობილო გზის კაკასხიდი-ზეკარის კმ1 - კმ10, (ბათდათი-საირმე-აბასთუმანი) მონაკვეთის რეაბილიტაცია - რეკონსტრუქციის დარჩენილი სამუშაოები. | შპს „დაგი+“ (412671657) | **5,671,204** |
| 2021 წლის 14 დეკემბერი<br><br>**NAT210024531** | ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის კაკასხიდი-ზეკარის კმ26-კმ33 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირების მომსახურება | შპს „პროექტმშენკომპანი“<br><br>(204979103) | **114,991** |

2012 წლიდან 2018 წლის აგვისტომდე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა აბასთუმანში სულ 4 ტენდერი გამოაცხადა და ხელშეკრულებები 7,595,865 ლარზე გააფორმა. აქედან, 3,299,228 ლარის (43.3%) ღირებულებების 2 ტენდერი „ქართული ოცნების“ შემწირველმა შპს „არალმა“ მოიგო, რომლის მესაკუთრეებმაც სხვადასხვა დროს მმართველ პარტიას 110,000 ლარი ჩაურიცხეს.

## მუნიციპალური განვითარების ფონდის ტენდერები აბასთუმანში

**მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2020 წელს 47 070 891 ლარზე გაუფორმა ხელშეკრულება ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულ შპს „არალს“. ეს 2018 წლის აგვისტოდან დღემდე, ფონდის მიერ აბასთუმანში გაფორმებული 12 შესყიდვის ჯამური ღირებულების - 74 625 455 ლარის 63%-ს შეადგენს.**

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2018-2022 წლებში გაფორმებული 12 შესყიდვიდან 5 ტენდერი 59,053,011 ლარით (საერთო თანხის 79.1%) „ქართული ოცნების“ შემწირველებმა მოიგეს. შპს “არალი” მათ შორის ერთ-ერთია. სამმა ასეთმა კომპანიამ სხვადასხვა დროს მმართველ პარტიას 623,000 ლარი შეწირა.

„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ აბასთუმანში 2012-2022 წლებში სულ 18 ტენდერი გამოაცხადა და ჯამში ხელშეკრულებები 82,002,312 ლარზე გააფორმა (ამ თანხაში არ შედის ბოლო, 15,000,000 ლარის მიმდინარე ტენდერი, რომელიც ითვალისწინებს აბასთუმნის ტყე-პარკის სახანძრო უსაფრთხოებას). ვიდრე ივანიშვილი აბასთუმანში სახლს ააშენებდა, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს აქ მხოლოდ 5 ტენდერი ჰქონდა გამოცხადებული, რისთვისაც ხელშეკრულებები, ჯამში, 7,376,857 ლარზე გააფორმა. მათ შორის „ოცნების“ შემწირველი მხოლოდ ერთი კომპანია, შპს „ერისიმედი“ იყო. მან 2017 წლის დეკემბერში, აბასთუმნის ისტორიული სახლების რეაბილიტაციისთვის 3,715,305 ლარის შესყიდვა მიიღო და მმართველ პარტიას 60 000 ლარი შეწირა.

***მგფ-ს ტენდერები აბასთუმანში 2018 წლის აგვისტოდან 2022 წლის აგვისტოს ჩათვლით***

| **შესყიდვის თარიღი და ნომერი** | **შესყიდვის მიზანი** | **გამარჯვებული კომპანია** | **ხელშეკრულების ღირებულება** |
|---|---|---|---|
| 2018 წლის 15 აგივსტო<br><br>**SPA180006991** | მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის შედგენა | შპს „გეოგრაფიკი“<br><br>(204920309) | **280,840** |
| 2019 წლის 21 მაისი<br><br>**NAT190010075** | სადგურისა და ღია ავტოსადგომის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოების წარმოება | „ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა) აბსულუტ სერვისი და კომპანია ბლექ სი გრუპი“<br><br>(205376332) | 8,989,898<br><br>ლარი<br><br>(ხელშეკრულება შეწყდა, მგფ-მ ავანსად გადაიხადა **2,696,969** ლარი) |
| 2019 წლის 10 დეკემბერი<br><br>**DEP190000101** | ასტროფიზიკური ობსერვატორიისთვის თოვლსაწმენდი სატრანსპორტო საშუალების მიწოდება | შპს „მსოფლიო ტექნიკა“<br><br>(402014896) | **189,900** |
| 2020 წლის 1 ივლისი<br><br>**SPA200001634** | ავტოსადგურისა და ღია ავტოსადგომის მშენებლობისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შედგენა | შპს „აბსოლუტ სერვისი“<br><br>(205256523) | **339,999** |
| 2020 წლის 3 სექტემბერი<br><br>**DEP200000074** | ობსერვატორიისათვის კომპიუტერული ტექნიკის, ქსელური და აუდიო სისტემის მოწყობილობების და აქსესუარების მიწოდება | შპს „ჯი-თი ჯგუფი“<br><br>(404494695) | **104,228** |
| 2020 წლის 3 სექტემბერი<br><br>**DEP200000072** | ობსერვატორიისათვის საოფისე და გარე სივრცის ავეჯის მიწოდება | შპს „ავე“<br><br>(428521263) | **89,160** |
| 2020 წლის 25 დეკმებერი<br><br>**DEP200000115** | მდინარე ოცხეს კალაპოტის, ხიდების, მთავარი და საუბნო გზების რეაბილიტაცია | შპს „არალი“<br><br>(47070891) | **47,070,891** |
| 2021 წლის 20 მაისი<br><br>**NAT210009025** | პარკის რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | შპს „როიალ არტ ჯგუფი“<br><br>(404963474) | **195,000** |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2021 წლის 20 მაისი<br><br>**NAT210009036** | სახიდე გადასასვლელის, ავტოსადგურისა და ღია ავტოსადგომის მშენებლობის სამუშაოები | შპს „ზიმო“<br><br>(211338015) | **11,648,392** |
| 2021 წლის 8 ნოემბერი<br><br>**DEP210000067** | ობსერვატორიისათვის თოვლსაწმენდი მანქანის მოდელთან AVANT 755i თავსებადი დამატებითი აღჭურვილობის მიწოდება | შპს „მსოფლიო ტექნიკა“<br><br>(402014896) | **39,600** |
| 2021 წლის 23 დეკემბერი<br><br>**DEP210000076** | ობსერვატორიისათვის ტელესკოპის და გუმბათის მიწოდება | ASA Astrosysteme GmbH<br><br>(ATU54452907) | **2,710,460** ევრო<br><br>(5583547 ლარი) |
| 2022 წლის 8 აპრილი<br><br>**NAT220007100** | ობსერვატორიის ტერიტორიაზე არსებული სასადილოს შენობის რეაბილიტაციის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ამავე საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, სარეაბილიტაცო სამუშაოებისათვის საავტორო ზედამხედველობის გაწევა | შპს „კარკასი“<br><br>(202178446) | **94,000** |
| 2022 წლის 11 ნოემბერი<br><br>**NAT220023348** | რეკრეაციული ტყე-პარკის სახანძრო უსაფრთხოებისათვის წყალსაცავის და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების შესრულება | გამარჯვებული ჯერ არ გამოვლენილა | **15,000,000** |

# საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის შესყიდვები აბასთუმანში

**2012-2018 წლებში  წყალმომარაგების კომპანიამ აბასთუმანში მხოლოდ 444 998 ლარი დახარჯა, აბასთუმნით ივანიშვილის დაინტერესების შემდეგ კურორტისთვის 49-ჯერ მეტი თანხა -  21 834 118 ლარი გამოყო.**

2012-2022 წლებში საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ აბასთუმანში 13 სახელმწიფო შესყიდვისთვის ხელშეკრულებები 22,279,116 ლარზე გააფორმა. აქედან, 8 შესყიდვა 21,834,118 ლარზე მას შემდეგ გაფორმდა, რაც ბიძინა ივანიშვილი აბასთუმანში გამოჩნდა. მათ შორის ერთი ხელშეკრულება პირდაპირი შესყიდვის წესით  280,000 ლარზე დაიდო, 7 ტენდერიდან

კი 2 უკონკურენტოდ მოგებულ კომპანიებთან, ჯამში, 3,992,438 ლარზე (18.2%) გაფორმდა. ერთ-ერთი მსხვილი, 1,964,991 ლარის ოდენობის ტენდერი „ქართული ოცნების“ შემწირველთან დაკავშირებულმა შპს „ლ.და.კ-მ“ მოიგო. კომპანიის მფლობელმა დავით კაპანაძემ მმართველი პარტიის ანგარიშზე 2018-2021 წლებში 70,000 ლარი შეიტანა.

ივანიშვილის აბასთუმნით დაინტერესებამდე, 2012 წლიდან 2018 წლის აგვისტომდე, „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ აბასთუმანში, სულ, 5 შესყიდვაზე 444,998 ლარი დახარჯა. კონტრაქტორებს შორის შემწირველი არცერთი ყოფილა.

***საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის შესყიდვები 2018 წლის აგვისტოდან დღემდე***

| **შესყიდვის თარიღი და ნომერი** | **შესყიდვის მიზანი** | **გამარჯვებული კომპანია** | **ხელშეკრულების ღირებულება** |
|---|---|---|---|
| 2018 წლის 20 სექტემბერი<br>**CMR180162384** | წყალანირების სისტემის რეაბილიტაცია/მშენებლობის, წყალანირების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის და არაზინდოს დასახლების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია/მშენებლობის საპრეოქტო მომსახურება | შპს „მუნიციპალ-პროექტი“<br>(211402123) | **280,000** |
| 2018 წლის 28 სექტემბერი<br>**NAT180015583** | წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის I ეტაპის სამუშაოები | შპს „ბილდინგ-დეველოპერ“<br>(406039692) | **3,727,121** |
| 2019 წლის 21 აგვისტო<br>**NAT190016646** | წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია/მშენებლობის II ეტაპი და არაზინდოს დასახლების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა | შპს „ჯი პი სი“<br>(405130111) | **3,990,108** |
| 2019 წლის 8 ნოემბერი<br>**NAT190021286** | წყალარინების სისტემის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა | შპს „ფერი“<br>211352187 | **3,954,568** |
| 2020 წლის 28 თებერვალი<br>**NAT200005032** | წყალარინების გამწმენდი ნაგებობების პროექტირება-მშენებლობა | შპს „ეკოფრე“<br>(404956874) | **7,420,000** |
| 2021 წლის 11 მაისი<br>**NAT210008423** | მოსახლეობის წყალარინების ქსელზე დაერთების, არსებული საფილტრი სადგურის ოპტიმიზაციისა და წყალმომარაგების სათავე ნაგებობისთვის სალექრის მოწყობის სამუშაოები | შპს „ლ.და.კ“<br>(216441232) | **1,964,991** |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2022 წლის 2 მაისი<br><br>**NAT220008574** | წყალარინების არსებული გამწმენდი ნაგებობისთვის საავტომობილო ხიდის მოწყობის საპროექტო - სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა | შპს „ბ.კ“<br><br>442729843 | **495,000** |
| 2022 წლის 17 ოქტომბერი<br><br>**NAT220020331** | წყლის ქიმიური და მიკრობიულოგიური ლაბორატორიული კვლევის მომსახურების შესყიდვა. მდ. ოცხეს წყალჩაშვების წერტილიდან ქვედა ბიეფში 200 მ. მანძილზე. (ამ შესყიდვით კვლევა ტარდება ურეკსა და ოზურგეთშიც) | შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“<br><br>(202057219) | **2,330** |

# ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვები აბასთუმანში

**2018 წლის აგვისტოდან დღემდე, ადიგენის მუნიციპალიტეტმა 1 180 561 ლარის ღირებულების 15 სატენდერო ხელშეკრულება გააფორმა აბასთუმანში. 577 595 ლარი (საერთო თანხის 48.9%) „ქართული ოცნების“ შემწირველებთან დაკავშირებულმა ორმა კომპანიამ უკონკურენტოდ და სხვა პრეტენდენტების დისკვალიფიკაციით, 5 ტენდერით მიიღეს.**

“ქართული ოცნების” შემწირველები, რომლებმაც აბასთუმნით ბიძინა ივანიშვილის დაინტერესების შემდეგ მოიგეს ადიგენის მუნიციპალიტეტის შესყიდვები, შპს „არალისა“ და „საგზაო სამშენებლო სამმართველო N2“-ს მფლობელები არიან. მათ სხვადასხვა დროს, მმართველი პარტიის ანგარიშზე, ჯამში, 210,000 ლარი გადარიცხეს.

ადიგენის მერია ერთადერთი საჯარო უწყება იყო, რომელმაც 2012 წლიდან 2018 წლის აგვისტომდე იმაზე მეტი საჯარო ფინანსები გაიღო აბასთუმნის (როგორც კურორტის, ასევე სოფლის) საჭიროებებზე, ვიდრე 2018 წლის აგვისტოდან დღემდე. სულ ამ 10 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მერიას 115 სახელმწიფო შესყიდვა ჰქონდა, ჯამში 3,237,830 ლარზე და შესყიდვების ნაწილი აბასთუმანთან ერთად სამუშაობის შესრულებას ადიგენის მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებულ პუნქტებშიც გულისხმობდა.

2012 წლიდან 2018 წლის აგვისტომდე ადიგენის მუნიციპალიტეტმა 89 შესყიდვა გააფორმა 1,850,210 ლარზე, 2018 წლის აგვისტოდან დღემდე - 26 შესყიდვა 1,387,620 ლარზე.

***ადიგენის მერიის ტენდერები აბასთუმანში 2018 წლის აგვისტოდან დღემდე***

| **შესყიდვის თარიღი და ნომერი** | **შესყიდვის მიზანი** | **გამარჯვებული კომპანია** | **ხელშეკრულების ღირებულება** |
|---|---|---|---|
| 2018 წლის 14 ნოემბერი<br>**NAT180017841** | შიდა ქუჩების, სოფლებთან მისასვლელი, შიდა საუბნო და სასაფლაოებთან მისასვლელი გზების თოვლის, ნამქერისა და ყინულის საფარისაგან გაწმენდა (ამ შესყიდვაში შედის იგივე სამუშაო დაბა ადიგენში) | შპს "საგზაო სამშენებლო სამმართველო №2"<br>(424071168) | **30,588** |
| 2018 წლის 7 დეკემბერი<br>**NAT180019318** | გარე განათების მომსახურება (ამ შესყიდვაში შედის ადიგენის 41 სოფელიც) | ი.მ. კობა გრძელიძე<br>(03001004904) | **55,999** |
| 2019 წლის 17 იანვარი<br>**NAT190000944** | ,,არაზინდოს" ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია | შპს „თბილგზაპროექტი"<br>(406157386) | **17,600** |
| 2019 წლის 6 მარტი<br>**NAT190004827** | ყოფილი გამწმენდი ნაგებობის ამორტიზირებული საკანალიზაციო ქსელის მილების დემონტაჟი, დაჭრა და ტრანსპორტირება | შპს „კავკასი"<br>(424253471) | **6,369** |
| 2019 წლის 14 მაისი<br>**NAT190009629** | ხეების გადაბელვა და ჭრა (ამ შესყიდვაში შედის იგივე სამუშაო დაბა ადიგენშიც) | შპს „ვალოსი"<br>**(**426536849) | **7,330** |
| 2019 წლის 1 ნოემბერი<br>**NAT190020879** | შიდა ქუჩების, სოფლებთან მისასვლელი, შიდა საუბნო და სასაფლაოებთან მისასვლელი გზების თოვლის, ნამქერისა და ყინულის საფარისაგან გაწმენდა (ამ შესყიდვაში შედის იგივე სამუშაო დაბა ადიგენშიც) | შპს "საგზაო სამშენებლო სამმართველო №2"<br>(424071168) | **49,427** |
| 2019 წლის 26 ნოემბერი<br>**NAT190022487** | „კურცხანას" სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები (სოფელი აბასთუმანი) | შპს „უტა 2015"<br>(224091195) | **95, 599** |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2020 წლის 29 იანვარი<br><br>**NAT200002245** | გარე განათების ქსელის მოწყობა (სოფელი აბასთუმანი) | შპს „გუნგლი“<br><br>(225068271) | **29,537** |
| 2020 წლის 23 ივლისი<br><br>**NAT200010559** | ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მრავალწლიანი შესყიდვა თანმდევი აღჭურვილობითა და მომსახურებით | შპს „დელტა კონსალტინგი“<br><br>(401992162) | **208,080** |
| 2020 წლის 12 ნოემბერი<br><br>**NAT200017334** | შიდა ქუჩების, სოფლებთან მისასვლელი, შიდა საუბნო და სასაფლაოებთან მისასვლელი გზების თოვლის, ნამქერისა და ყინულის საფარისაგან გაწმენდა (აქ შედის დაბა ადიგენიც) | შპს “საგზაო სამშენებლო სამმართველო №2“<br><br>(424071168) | **36,580** |
| 2021 წლის 4 ნოემბერი<br><br>**NAT210020872** | შიდა ქუჩების, სოფლებთან მისასვლელი, შიდა საუბნო და სასაფლაოებთან მისასვლელი გზების თოვლის, ნამქერისა და ყინულის საფარისაგან გაწმენდა (აქ შედის დაბა ადიგენიც) | შპს „ლომსია +“<br><br>(424074138) | **47,082** |
| 2021 წლის 16 დეკემბერი<br><br>**NAT210024717** | გარე განათების ქსელის მომსახურების შესყიდვა (ამ შესყიდვაშ შედის დაბა ადიგენი და მასში შემავალი სხვა სოფლებიც) | ი.მ. კობა გრძელიძე<br><br>(03001004904) | **66,672** |
| 2022 წლის 11 იანვარი<br><br>**NAT220000348** | შიდა ქუჩების, სოფლებთან მისასვლელი, შიდა საუბნო და სასაფლაოებთან მისასვლელი გზების თოვლის, ნამქერისა და ყინულის საფარისაგან გაწმენდა (ამ შესყიდვაშ შედის დაბა ადიგენიც) | შპს „დავითი“<br><br>(222726307) | **43,483** |
| 2022 წლის 8 სექტემბერმი<br><br>**NAT220018388** | „არაზინდოს“ დასახლებაში საბავშვო ატრაქციონის მოწყობა | შპს „ფასადი“<br><br>(424066307) | **25,215** |
| 2022 წლის 5 აგვისტო<br><br>**NAT220015619** | შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (სოფელ აბასთუმანში) | შპს „არალი“<br><br>(222725807) | **461,000** |

2018 წლის აგვისტოდან დღემდე ადიგენის მერიამ 11 პირდაპირი შესყიდვით 207,059 ლარი დახარჯა.

***ადიგენის მერიის პირდაპირი შესყიდვები აბასთუმანში 2018 წლის აგვისტოდან დღემდე***

| **შესყიდვის თარიღი და ნომერი** | **შესყიდვის მიზანი** | **გამარჯვებული კომპანია** | **ხელშეკრულების ღირებულება** |
|---|---|---|---|
| 2019 წლის 31 მაისი<br>**CMR190105285** | ,,„საგურაზე'' სარწყავი წყლის სისტემის ქსელის მოწყობა (სოფელი აბასთუმანი) | ი.მ. ჯემალი ქიმაძე<br>(03001004325) | **12,000** |
| 2019 წლის 14 ივლისი<br>**CMR190113371** | საბავშვო ბაღის შიდა რემონტი | ი.მ. ჯემალი ქიმაძე<br>(03001004325) | **19,181** |
| 2019 წლის 8 ივლისი<br>**CMR190123071** | მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ეკოლოგიური ექსპერტიზა (ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით) | ი.მ. გივი მეტრეველი<br>(01008003285) | **2,250** |
| 2019 წლის 10 ივლისი<br>**CMR190127180** | ფალიაშვილის ქუჩა N16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სტიქიის შედეგად (ძლიერი ქარი) დაზიანებული სახურავის შეკეთება | შპს „ბილი“<br>(422736622) | **9,649** |
| 2020 წლის 16 ივნისი<br>**CMR200079458** | საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია | ი.მ. მამუკა გელაშვილი (03001000096) | **28,563** |
| 2020 წლის 3 ივნისი<br>**CMR200084903** | სარწყავი წყლის სისტემის მოწყობა და შიდა გზების რეაბილიტაცია (სოფელი აბასთუმანი) | ი.მ. მამუკა გელაშვილი (03001000096) | **12.000** |
| 2021 წლის 30 ივნისი<br>**CMR210083653** | ფანჩატურის მოწყობა | ი.მ. კახაბერ დიასამიძე (47001033301) | **17,131** |
| 2021 წლის 12 ივლისი<br>**CMR210086213** | აბასთუმანში და ფარეხაში ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოები | შპს „უტა-2015“<br>(224091195) | **36,400** |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2021 წლის 11 ნოემბერი<br><br>**CMR220015481** | შიდა ქუჩების, სოფლებთან მისასვლელი, შიდა საუბნო და სასაფლაოებთან მისასვლელი გზების თოვლის, ნამქერისა და ყინულის საფარისაგან გაწმენდა (ამ შესყიდვაში შედის დაბა ადიგენიც) | შპს „ლომსია + “<br><br>(424074138) | **46,610** |
| 2022 წლის 5 სექტემბერი<br><br>**CMR220111565** | სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია (სოფელი აბასთუმანი) | ი.მ. რამაზ კაჭკაჭაშვილი (03001004910) | **4,074** |
| 2022 წლის 10 აგვისტო<br><br>**CMR220104241** | გარე განათების ქსელის სისტემის მოწყობა (სოფელი აბასთუმანი) | ი.მ. რამაზ კაჭკაჭაშვილი (03001004910) | **19,201** |

# დაცული ტერიტორიების სააგენტოს შესყიდვები აბასთუმანში

**სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერებიდან “ქართული ოცნების” შემწირველთან დაკავშირებულმა კომპანიამ - ააიპ “სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ასოციაციამ” სულ 1 ტენდერი მოიგო, თუმცა ამ ტენდერით მან კონკურენტის დისკვალიფიკაციის ხარჯზე მიიღო 738 450 ლარი. ეს თანხა 2018 წლის აგვისტოდან დღემდე, სააგენტოს მიერ გაფორმებული 5 სატენდერო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 75.5%-ს შეადგენს.**

2018 წლის აგვისტოდან დღემდე დაცული ტერიტორიების სააგენტომ 6 შესყიდვა გააფორმა 978,542 ლარზე, მათ შორის 5 ტენდერით 977,992 ლარი გაიწერა. ამ თანხის 87,5% - 855,399 ლარი „ქართული ოცნების“ შემწირველებთან დააკვშირებულმა კომპანიებმა მოიგეს. ამ შპს-ებმა, სხვადასხვა დროს, მმართველი პარტიის ანგარიშზე 131,000 ლარი შეიტანეს.

სულ 2012-2022 წლებში, დაცული ტერიტორიების სააგენტომ აბასთუმანში, 13 შესყიდვა გააფორმა, ჯამში, 1,280,367 ლარზე. 2018 წლის აგვისტომდე დაცული ტერიტორიების სააგენტომ, აბასთუმანში, 7 შესყიდვა გააფორმა ჯამში 301,825 ლარზე. აქედან 5 შესყიდვა (1 პირდაპირი - 6,000 ლარი და 4 ტენდერი - 233,819 ლარი), 239,819 ლარზე, სხვა დაცულ ტერიტორიებში და მათ შორის აბასთუმანშიც, ცხენების გამოსაკვებად, თივისა და ქერის შესყიდვაზე იყო. მათ შორის შემწირველი არცერთი კომპანია იყო.

***დაცული ტერიტორიების შესყიდვები აბასთუმანში 2018 წლის აგვისტოდან დღემდე***

| **შესყიდვის თარიღი და ნომერი** | **შესყიდვის მიზანი** | **გამარჯვებული კომპანია** | **ხელშეკრულების ღირებულება** |
|---|---|---|---|
| 2019 წლის 15 აგვისტო<br><br>**NAT190016325** | ზეკარისა და ნასაბაჯვარის ტურისტული თავშესაფრების სარემონტო სამუშაოები (აქ შედის 5 სხვა თავშესაფრის რემონტიც) | შპს „მარია“<br><br>(400256753) | **47,053** |
| 2019 წლის 12 სექმტებერი<br><br>**NAT190018039** | კურორტის შემოგარენში და აბასთუმნის უბანში ეკო-ტურისტული საფეხმავლო ბილიკების მოწყობის შესაძლებლობების კვლევისა და ბილიკების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია | ააიპ<br><br>„საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია“<br><br>(406069953) | **75,000** |
| 2020 წლის 29 იანვარი<br><br>**DAP200000002** | აბასთუმნის უბნის საფეხმავლო ბილიკების სამშენებლო სამუშაოები (აქ შედის სათაფლიასა და აჯამეთის ნაკრძალების ბილიკებიც) | ააიპ<br><br>„სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ასოციაცია”<br><br>(404487373) | **738,450** |
| 2020 წლის 19 ივნისი<br><br>**CMR200077535** | გათბობის ქვაბის, დაბალი ძავბის კაბელის, სექციური ღობის და სენდვიჩ პანელების ტრანსპორტირება დაბა აბასთუმანში | ი/მ ბადრი ედილაშვილი<br><br>(01019002402) | **550** |
| 2021 წლის 13 იანვარი<br><br>**NAT210000428** | აბასთუმნის უბანში ეკოტურისტული საფეხმავლო ბილიკების და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურება | შპს<br><br>„საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ | **39,879** |
| 2022 წლის 2 სექტემბერი<br><br>**SPA220002161** | აბასთუმნისთვის კვადროციკლების და ბაგის ტიპი სატრანსპორტო საშუალების შეძენა | შპს<br><br>„ტრანსპორტერი“<br><br>(405127508) | **77,610** |

# საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ტენდერები აბასთუმანში

**ივანიშვილის აბასთუმნით დაინტერესებამდე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს აბასთუმანში არცერთი სახელმწიფო შესყიდვა არ ჰქონია.**

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ 2012-2022 წლებში, აბასთუმანში, მხოლოდ 2 ტენდერზე გააფორმა ხელშეკრულება, ჯამში, 126,697 ლარზე. ორივე ტენდერი 2018 წლის აგვისტოს შემდეგ გამოცხადდა.

***კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ტენდერები 2018 წლის აგვისტოდან დღემდე***

| შესყიდვის თარიღი და ნომერი | შესყიდვის მიზანი | გამარჯვებული კომპანია | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 2019 წლის 31 მაისი<br><br>**NAT190010770** | სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევითი მომსახურება (სამომავლოდ აქ ინფრასტრუქტურის მოწყობისა და სამონასტრო ცხოვრების აღორძინების მიზნით) | ააიპ „საქართველოს მემკვიდრეობა“<br><br>(204545652) | **29,680** |
| 2020 წლის 11 ივლისი<br><br>**NAT200008427** | „გლაზენაპის“კოშკის რეაბილიტაცია | შპს „კოლოსეო“<br><br>(417881126) | **97,017** |